საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-143

09/03/2018

ქ. თბილისი

შპს „როიალ მნ“-ს მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი საწარმოს მოწყობის და ექსპლუატაციის პროექტზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის, ამავე კოდექსის II დანართის მე-5 პუნქტის 5.1 ქვეპუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" (07.12.2017 #1620-რს) საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ამ ბრძანების დანართში მოცემული დასაბუთების საფუძველზე მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება შპს,,როიალ მნ''-ს მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი საწარმოს მოწყობის და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასებისადმი დაქვემდებარების შესახებ;
2. შპს ,,როიალ მნ'' ვალდებულია უზრუნველყოს საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-8 მუხლით დადგენილი სკოპინგის პროცედურების გავლა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „როიალ მნს'';
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს,,როიალ მნ''-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შევლიდან 5 დღის ვადაში სკრინინგის გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ჭიათურის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოებისა და წარმომადგენლობითი ორგანოების საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში- საქართველოს მთავრობაში (თბილისი, ინგოროყვას ქუჩა N7) ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი